

**შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის 'ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა' პროგრამა**

**(GEO-T-NCDC)**

**სტატუსი**

- განახლდა ორივე პროექტის საგრანტო ხელშეკრულებები; ძირითადად ცვლილებები შეეხო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ წინაპირობებს (განახლდა არსებული წინაპირობების სტატუსის შესაბამისად), პროგრამების შეფასების ინდიკატორებს (დაზუსტდა რამოდენიმე ინდიკატორი) ასევე უმნიშვნელო ცვლილებებია ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებში; ორივე პროექტის ფარგლებში მიღებული მენეჯმენტის წერილები, რომლებშიც გამოყოფილია რამოდენიმე საკითხი, კერძოდ, ტუბერკულოზის პროგრამასთან დაკავშირებით მიღებულია ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:
  - ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში ანგარიშებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა ფულადი წახალისების სქემის ოპერატიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდირებულია დაჩქარდეს ტუბერკულოზის ელექტრონული მოდულის ქვეყნის მასშტაბით დანერგვა. ინფორმაცია პროგრესის შესახებ გლობალურ ფონდს უნდა წარედგინოს მიმდინარე წლის 28 თებერვლს;
  - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გლობალური ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, მე-5 ჯგუფის მედიკამენტების ქვეყანაში იმპორტისა და გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს 'ბედაქილინის განხორციელების გეგმის' შექმნა და პროგრესი ამ მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა USAID/URC პროგრამის ტექნიკური დახმარებით; მზადდება არსებულ ეროვნულ გაიდლაინში შესატანი ცვლილებების პაკეტი; საჭიროა ბედაქილინის დანერგვის გეგმის დამტკიცება და პერსონალის ტრენინგი (ხორციელდება URC/TB Prevention პროგრამის ტექნიკური დახმარებით)
- მიმდინარეობს პროექტების აუდიტის მომსახურების შესყიდვა, რომელიც დაიწყება თებერვლის პირველ ნახევარში. აუდიტის ანგარიში გლობალურ ფონდს უნდა წარედგინოს 2015 წლის 31 მარტამდე;
- მიმდინარეობს პროექტების პროგრესის ანგარიშების მომზადება (PUDR), რომელიც თებერვლის ბოლოს უნდა წარედგინოს გლობალურ ფონდს. ანგარიშებთან ერთად განახლდება პროექტების მონიტორინგის დიაგრამები (dashboards); წინასწარი მონაცემები პროგრამის ინდიკატორების შესრულებაზე შეგვროვდება მომდევნო კვირის განმავლობაში; წინა სააგნარიშო თვის ანალიზის მიხედვით, მნიშვნელოვან შეფერხებები შესრულებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი არ არის
- ტენდერის გზით შეირჩა პროგრამის განმახორციელებელი (ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი), რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება მიმდინარე წლის იანვრიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით;
- გლობალური ფონდის პროგრამების განმახორციელებელი ერთეულის მიერ შესყიდული მედიკამენტების პირველ მოწოდებას ქვეყანაში ველოდებით მარტში;
- შესყიდული და მოწოდებულია GeneXpert-ის 9 აპარატი; 2-6 თებერვალს იგეგმება მათი დისტრიბუცია დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ლაბორატორიებში (თელავი, ახალციხე, ზუგდიდი, ბათუმი, გორი, ფოთი, ოზურგეთი) და სასჯელაღსრულების 2 დაწესებულებაში. ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, ტუბერკულოზის ცენტრის ლაბორატორიის ექსპერტების მიერ მოხდება აპარატების ადგილზე ინსტალაცია და ლაბორანტების ტრენინგი;
- NCDC-ის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს ტუბერკულოზის 2015-2020 წლების სტრატეგიაზე მუშაობა;

- გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის ორგანიზებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ 2014 წლის ნოემბერში განხორციელდა ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის შეფასების მისია. ანგარიშის მოწოდებას ველოდებით მომდევნო კვირის განმავლობაში.
- დაწყებულია კომუნიკაცია გლობალურ ფონდთან სახელმწიფოს სახსრებით, რაც უკვე ჩასმულია 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტში, ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვისთვის იგივე გაერთიანებული შესყიდვის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ (GDF), ასევე მოხდა კომუნიკაცია GDF-თან. მიღებულია პრინციპული თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით;